# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

28 აპრილი ხუთშაბათი 2022 წელი №17 (9227) ფასი 40 თეთრი


## მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 აპრილს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი.

დეპუტატებმა ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო-სამართლის იურიდიული პირის ბაკურიანის განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ივნისის №14 დადგენილების, სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო“-ს მიერ სამშენებლო საქმიანობის დარღვევის შესახებ მითითების შემოწმების აქტის უწყების - დადგენილების და სააღსრულებლო ფურცლის ფორმების დამტკიცების თაობაზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 27 აგვისტოს №30 დადგენილების, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №12 და „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №11 დადგენილებებში დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება. ასევე იმსჯელეს და ცვლილებები შეიტანეს „სამშენებლო საქმიანობის დარღვევის შესახებ მითითების, შემოწმების აქტის, უწყების, დადგენილების და სააღსრულებლო ფურცლის ფორმების დამტკიცების თაობაზე“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 ოქტომბრის №29 დადგენილებაში;

ტექნიკური შესწორება შეიტანეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 22 აგვისტოს №43 და 2022 წლის 25 თებერვლის №62 დადგენილებებში.

იმსჯელეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელსა და დაბებზე თანხის განაწილების შესახებ 2022 წელს განსახორციელებელი პროექტების შესახებ. ნება დართეს ახალდაბაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით (იჯარა 3 (სამი) წლის ვადით), წაღვერში, ბორჯომი-ბაკურიანის გზატკეცილის მიმდებარედ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით (იჯარა 5 (ხუთი) წლის ვადით) და მესხეთის ქუჩის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის 17.17213586 გაბკარგულებაში. მოისმინეს და დადებითად შეაფასეს ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“-ს დირექტორის ნანა ბენდელიანიშ ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. ასევე მოისმინეს ა(ა)იპ „ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების“ გამგის ო. ოგანეზოვის ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

## მიცვალებულთა ხსოვნის დღე

**24 აპრილს** მართლმადიდებლურმა სამყარომ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული იზეიმა.

აღდგომის მეორე დღეს მიცვალებულთა ხსოვნის დღეა.

შარშანდელი და შარშანწინდელი წლებისაგან განსხვავებით პანდემიის დაწყებიდან მესამე წელს გარდაცვლილთა ახლობლებმა საფლავებზე გასვლა თავისუფლად შეძლეს.

მძიმე პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, ორი წლის მანძილზე, სახელმწიფოს მიერ დადგენილი რეგულაციების მიხედვით, ყველა თავშეყრის ადგილის მსგავსად აღდგომის დღესასწაულზე არც ერთ ოჯახის წევრს არ ჰქონდა უფლება, რომ საკუთარი ახლობლის საფლავზე გასულიყო. წელს კი ტრადიციულად, ყველამ შეძლო საკუთარი მიცვალებულის საფლავზე მისვლა.

ხალხმრავლობა შეინიშნებოდა ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა სასაფლაოზე. ადამიანებს დაინახავდით საკუთარი მიცვალებულთა საფლავებისაკენ მიმავალს ოჯახის წევრებით, ბავშვებით. მიქონდათ ღვინო, კვერცხი, პასკა და ყვავილები.

რამდენიმე საფლავზე სასულიერო პირებიც იყვნენ, ზოგი ფსალმუნს კითხულობდა, ზოგი კი პანაშვიდს იხდიდა. გზად მიმავალი ადამიანები, ნაცნობები თუ უცნობები ერთმანეთს „ქრისტე აღსდგა!“ - შეძახილებით ესალმებოდნენ.

ამ ყველაფერში თითქოს არც არაფერია გასაკვირი, თუმცა თითოეული ადამიანის სევდანარევ გამოხედვაში ერთგვარი მონატრება და მადლიერება გამოიხატებოდა ცოცხალი ახლობლების, ნაცნობებისა თუ უცნობების ნახვისა და იმისა, რომ მათ შეძლეს და საკუთარ მიცვალებულებს პატივი მიაგეს.

## საკრებულოს იურიდიული კომისიის სხდომა



**18 აპრილს,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **მაკა მანჯავიძემ** კომისიის სხდომა გამართა.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი, მოადგილე გიორგი ფერაძე და ამავე კომისიის წევრები.

განხილული იქნა 7 საკითხი:

1. „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენისა და ტერიტორიული ზონირების განსაზღვრის შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის 62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

2. „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 22 აგვისტოს 43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

3. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის დებულების პროექტზე;

4. „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბაკურიანის განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ივნისის 14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

5. „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის 11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

6. „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის 12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

7. ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 ოქტომბრის 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ „სამშენებლო საქმიანობის დარღვევის შესახებ მითითების, შემოწმების აქტის, უწყების, დადგენილების. და სააღსრულებლო ფურცლის ფორმების დამტკიცების თაობაზე“.

## დასაქმდება 20 000-მდე ადამიანი




**განვადებით** მშენებლობის პროგრამის ფარგლებში 2022-2025 წლებში დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების დაჩქარებულად განხორციელებაა გათვალისწინებული, რომელთა ჯამური მოცულობა 2 მილიარდი ლარია.

პროგრამის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ დაგეგმილი პროექტების საინვესტიციო ღირებულების ნახევარზე მეტი უკვე 2022-2023 წლებში განხორციელება, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას. მთლიანობაში, პროგრამის შედეგად, მოსალოდნელია ეკონომიკური ზრდის დაჩქარება ყოველწლიურად საშუალოდ 0.2 პროცენტული პუნქტის ოდენობით.

პროგრამის განხორციელების პერიოდში 20 000-მდე ადამიანი დასაქმდება.

## დახმარება ბენეფიციარებს

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მერია აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, სოციალურ პროგრამაში ჩართულ 659 ბენეფიციარს 100-100 ლარით დაეხმარა.

მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, ფულადი თანხა მიიღეს: 18 წლამდე ასაკის 4 და მეტ შვილიანმა ოჯახებმა; დედ-მამით ობოლმა 18 წლამდე ასაკის ბავშვებმა; 18 წლამდე ასაკის შშმ პირებმა; მარტოხელა მშობლებმა; დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა; დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან გათანაბრებულმა პირებმა; დიდ სამამულო ომში გარდაცვლილი ოჯახის წევრებმა;ომის შემდგომ პერიოდში გარდაცვლილთა ოჯახის წევრებმა; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის მონაწილე ვეტერანებმა; (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 160 000-ს) საქართველოს მთლიანობისთვის ომის ინვალიდებმა (მათ შორის დევნილებმაც) ავღანეთის ომის ვეტერანებმა; ჩერნობილის ავარიის დროს მოწამლულმა პირებმა; 9 აპრილის მშვიდობიანი აქციის დარბევისას მოწამლულმა პირებმა;

ბენეფიციარებს აღნიშნული პროგრამით სარგებლობა წელიწადში 2-ჯერ, როგორც აღდგომის, ასევე ახალი წლის დღესასწაულზე შეუძლიათ.

მუნიციპალიტეტში 23 სოციალური პროგრამა მოქმედებს, რომლის მთავარი მიზანი სოციალურად დაუცველ ადამიანთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მორალური მხარდაჭერა წარმოადგენს, - აცხადებენ მუნიციპალიტეტის მერიაში.

## დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები



**მიმდინარე** წელს ბორჯომში, სააკაძის ქუჩის №2, აღმაშენებლის №35, მესხეთის №35 და №61-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია განხორციელდება.

პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადი, შეიცვალება სახურავი, აივნი და კარ-ფანჯარა, მოეწყობა დეკორატიული ელემენტები და განათება. ასევე, მესხეთის ქუჩის №35 და 61 მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს არსებულ ღობეს ჩაუტარდება რეაბილიტაცია.

ამ ეტაპზე სადემონტაჟო სამუშაოები აღმაშენებლის №35 არსებულ სახლზე მიმდინარეობს. მთლიანად შეიცვლება კორპუსის იერსახე.

ფასადების რეაბილიტაციის პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონალური განვითარების ფონდიდან 2735181 ლარით ფინანსდება.

ბორჯომის მერია ქალაქის მასშტაბით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაციას მომავალშიც გეგმავს.

შეგახსენებთ, რომ 2021 წელს ბორჯომში შვიდი მრავალბინიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია განხორციელდა.



**ბორჯომში,** რუსთაველის ქუჩაზე სანაპიროს მიმდებარედ 700 კვ.მ ფართობზე სკვერის მოწყობის სამუშაოები დასრულდა.

პროექტის ფარგლებში მოეწყო: ფეხით სავალი და ველო ბილიკები, ბავშვთა გასართობი და დასასვენებელი სივრცეები, სკვერის ტერიტორიაზე დამონტაჟდა სკამები, ნაგვის ურნები, გარე-განათების სისტემა, სასმელი წყლის ბიუვეტი, დეკორატიული პერგოლა, ტერიტორია გამწვანდა სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარით ასევე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა მდინარის გამყოლ საყრდენ კედელს.

- რეკრეაციული სივრცეების განვითარება მუნიციპალიტეტისათვის უმნიშვნელოვანეს პრირიტეტს წარმოადგენს. ბოლო წლების განმავლობაში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ახალი რეკრეაციული სივრცეები გავაჩინეთ, რასაც ქალაქში დამატებითი სიცოცხლე შემოაქვს.

მათ შორისაა ეს ახლადმოწყობილი სკვერი, რომელიც ძალიან ლამაზი გამოვიდა. წლების განმავლობაში ეს ტერიტორია მოუწესრიგებელი იყო. სკვერი ამჟამად სრულად მოწესრიგებულია, რაც საშუალებას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობასა და ვიზიტორებს დაისვენონ კომფორტულ გარემოში, - განაცხადა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა ო**თარ არბოლიშვილმა.**

სკვერი რეაბილიტაციისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 473 347 ლარი დაიხარჯა.



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისში შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. ამ ეტაპზე საფუძვლის მოწყობა მიმდინარეობს.

ყვიბისში ე.წ დარბაიძეების, შუბითიძეების, ხაჩიძეებისა და ციცქიშვილების უბანში, გზის 1 კილომეტრიან მონაკვეთზე ბეტონის საფარი დაიგება. ასევე დაგეგმილია 400 მეტრზე სანიაღვრე არხის მოწყობა.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 459 001 ლარია გამოყოფილი.

# იწყება სასოფლო-სამეურნეო მიწის აზომვა

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა იწყება. პროგრამის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო მიწაზე სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრა 1ჰა-ზე 300 ლარით. სუბსიდიას მიიღებენ 0.25 ჰა-დან - 125 ჰას ჩათვლით მიწის მესაკუთრეები/თანამესაკუთრეები.

პროგრამის ბიუჯეტი 35 მილიონ ლარს შეადგენს და 300 000-მდე ფერმერი ისარგებლებს.

ბენეფიციარებს სუბსიდია სპეციალურ აგრობარათებზე ქულების სახით დაერიცხებათ, რომლის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო საქონლის შესასყიდად შეეძლებათ.

პროგრამის დამტკიცების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს, ქვეყანაში სასოფლო - სამეურნეო სამუშაოების დროული და ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა, წარმოებისთვის საჭირო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და აგრარული სამუშაოების მიმართულებით აქტივობის სტიმულირება.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა დადებით გავლენას მოახდენს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე.

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ბენეფიციარი ვალდებულია დარეგისტრირდეს ფერმერთა რეესტრში. (ცხელი ხაზი 150)

# მიწის სისტემური რეგისტრაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიწის სისტემური რეგისტრაცია დაიწყო.

სააგენტო 2022-2024 წლების განმავლობაში, საქართველოს 59 მუნიციპალიტეტში (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქების: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი) განახორციელებს საამზომველო და სარეგისტრაციო საქმიანობებს. დღეს არსებული მდგომარეობით, ქვეყანაში მიწების 1/3 დაურეგისტრირებელია, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2024 წლის ბოლომდე ეტაპობრივად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემურ რეგისტრაციას. სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში მოქალაქეები საფასურის გადახდის გარეშე მიიღებენ შემდეგ მომსახურებებს:

1)მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვითი (აზომვითი) სამუშაოები;

2)უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიება და სისტემიზაცია;

3)გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება;

4)სანოტარო მედიაცია;

მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება;

6)ფაქტების კონსტატაცია;

7)მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტთან იდენტურობის დადგენა;

8)მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებების და მასში ცვლილებების რეგისტრაცია;

მიწის სისტემური რეგისტრაციის პარალელურად, მოქალაქეებს კვლავაც შეეძლებათ ისარგებლონ მიწის სპორადული რეგისტრაციით.

საქართველოს მთავრობის №636 დადგენილებით (2021 წლის 31 დეკემბერი) ცვლილება შევიდა №509 დადგენილებაში (2011 წლის 29 დეკემბერი), რომლითაც განისაზღვრება სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულ არეალში მდებარე მიწის ნაკვეთზე




სპორადული რეგისტრაციის საფასური.

მთავრობის დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად სარეგისტრაციო მომსახურეობისათვის დაწესდა ვადები და განსაზღვრულია შემდეგი საფასურის განაკვეთები:

1)სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულ არეალში მდებარე მიწის ნაკვეთზე სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში, მართლმზომიერ მფლობელობაში (სარგებლობის) ან საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, საკუთრების უფლების რეგისტრაცია, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემების დაზუსტება, ცვლილება სამი თვის ვადაში - 300 ლარი;

2)სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულ არეალში მდებარე თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე სპორადული - რეგისტრაციის ფარგლებში, საკუთრების უფლების აღიარებით უფლების რეგისტრაცია 3 (სამი) თვის ვადაში 600 ლარი.

3)თუ სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულ არეალში საკადასტრო აღწერის შედეგებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის შეჯერებით სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში დადგინდა, რომ სარეგისტრაციო ობიექტი სრულად ან ნაწილობრივ არ არის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი და დაინტერესებული პირი მოითხოვს თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებით უფლებით რეგისტრაციას დაწესებულ საფასურს (300 ლარს) ემატება 300 ლარი.

4)სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების დაზუსტების ცვლილება - „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესის და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2, მე-5 პუნქტებით დადგენილ ვადაში 300 ლარი.

ასე რომ, 2022 წლის პირველ იანვრიდან მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია და საკადასტრო მონაცემების დაზუსტება-ცვლილება, სპორადული (ინდივიდუალური) წესით, ფასიანი გახდა. ამასთან იანვრამდე წარდგენილ განცხადებაზე მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოება უსასყიდლოდ დასრულდება.

**თეონა მელიქიძე,**
მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი სოფლის მეურნეობის საკითხებში.

# მიწას ნუ ყიდით, გაუფრთხილდით!



**ილია ჭავჭავაძე წერდა, -** რომელი ვნება შეედრება იმ ვნებას, რომელიც თავს ატყდება სამშობლოს მამულების სხვის ხელში ჩაგდებით და თავისიანების გამო წირვით! კაცი შეიძლება შესცდეს სამამულიშვილო კითხვების გარჩევაში, გარნა ეს შეცდომა, ვითარცა შეცდომა, გასწორდება, თვით შემცდარი ისევ მობრუნდება და, შეიძლება, ყველას გადააჭარბოს მამულიშვილობით... სულ სხვაა დედამიწის გაყიდვა. ნებსით გაყიდოს მამული, გინდ უნებლიეთ, ორივე შემთხვევაში გამყიდველი დიდს დანაშაულს იდებს კისერზე წინაშე თავის მემკვიდრეებისა და წინაშე მთელის სამშობლოსი. მისი საქციელი ველარ გასწორდება ვერც სინანულით და ვერც დროჟამის მსვლელობით. **ძვირფასი თვალი ერთმა ბრიყვმა წყალში ისროლაო და ათასმა ჭკვიანმა ველარ ამოიღო.** ასეა მამულის გაყიდვის საქმეც. მისი მყიდველი შიგ სახლდება მკვიდრად, ლობეყორეს უახლებს, არხებსა და რუებს უწმენდავს, ვენახებსა, ზვრებს და ტყეს ასუფთავებს და ყველგან ასახლებს თავისიანებს. მოსული ხდება ბატონად და უფლად ბინდართა სახლებისა, კერისა, საყდრებისა და საფლავებისაც კი. მასში აღებული ფული კი იფლანგება და ქართველთასავით ნიავდება და წყალდება. ერთი იძენს საუკუნო სამკვიდრებელს, მეორე ჰკარგავს იმ მასაზრდოებელ წყაროს, რომელსაც ჩვენ, ქართველნი, სამართლიანად ვუწოდებთ დედამიწას. ერთი იძენს უშრეტ წყაროს ცხოვრებისას, მეორე ითვლის ბრჭყვიალა ლითონს, რომელიც იმდენად არას ჰმატებს კაცს, რამდენადაც თვისს მონად ჰხდის მანამდე თავისუფალ არსებას. ამიტომაც დედულ-მამულის სხვა ტომმოდგმის ხელში ჩამგდებელს ყველა ქვეყანაში ზიზღით უყურებენ, მას აღარ სთვლიან თავის სისხლ-ხორცად, მას აცხადებენ მამულის მოღალატედ და ყველას ავალებენ მასთან შეწყვიტონ ყოველივე კავშირი და დამოკიდებულება. ჩვენში - ჩვენში ჯერ ეს ესრე არ არის. ჩვენში თვით მამულის გამყიდავნი დიდ პატრიოტებად ითვლებიან და ამ „პატრიოტებს“ ის გაბედულებაც აქვთ, რომ სხვანი გამოაცხადონ მამულის მოღალატედ... ეს საშინელი იქნებოდა, რომ სამწუხარო არ იყოს. სამწუხარო კი იმიტომ არის, რომ დღევანდლამდის ჩვენ ვერ გაგვირჩევია, რაა ჭეშმარიტი მამულიშვილობა და რაა ნამდვილი მოღალატეობა წინაშე მამულისა და კერიისა, ამ ყოველ გაგებულთა წმიდათა უწმიდესისა. როგორც არ გაიყიდება დედა, ისე არ გაიყიდება დედამიწა... ისტორიამ არ იცის ამგვარების პატიება... ჩვენი ისტორია და ერის მსჯავრი შეაჩვენებს იმათ, რომელთაც მუშაობა, ოფლითა თავისით პურის ჭამა მეტ ბარგად მიაჩნიათ და გასაყიდად იმეტებენ მათ მაწოვნებელ-მარჩენალ დედამიწას, შეძენილს ქართველის მკლავით, ქართველის ოფლითა და სისხლით. შრომა, შრომა და კვლავ შრომა გვეწეროს მისწრაფებად, ძმანო ქართველნო, თუ არ გვინდა აღვიგავნეთ პირისაგან ქვეყანისა, თუ არ გვინდა შევიქნეთ ცხოვართა ფარად, რომელსაც კვერთხით ხელში მწყსიან ხოლმე და კომბლით მიერეკებიან საყასბოსაკენ დასაკლავად და ზაფხულის და ზამთრის იალაღებისაკენაც სასუქებლად და საკრეჭად.

# პასუხები ანონიმური კითხვების ავტორს

**დიახ, არ მოგესმათ, უცნობისგან დამხვდა კითხვები რედაქციაში. იმთავითვე გამოწვევად მივიღე. რა თქმა უნდა, სახლში მისვლამდე ტრანსპორტში გადავავლე თვალი. დავხედავდი კითხვებს და ვცდილობდი ამომეცნო ხელწერა, პიროვნება. *„<u>არარა არს დაფარული, რომელი არა გაცხადდეს, და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს</u>“* - ვკითხულობთ ლუკას სახარებაში. ჩემი აზრით, ქალბატონის ნაწერია. კითხვების ბოლოს უწერია „თქვენი კეთილისმსურველიო“ - ამან დამაიმედა, ეტყობა, ღვთისშვილია და პატივისცემაც დიდი ვიგრძენი. ყოველთვის პატივს ვცემდი განსხვავებულ აზრს, არ მახსენდება ვინმეს ღირსება შემელახოს და თუ ასე თვლით თავს, შემინდეთ ქრისტესმიერად. აქედან გამომდინარე, მადლობა, რომ მომწერეთ. მხოლოდ სიყვარულით შემიძლია პასუხების გაცემა.**



თქვენი კითხვები შემიძლია დავაჯგუფო პირობითად, სამ მიმართულებად: სამედიცინო ასპექტის შეკითხვები.

**სოციალურ-ინტელექტუალური და ჩემდა გასაკვირად, რელიგიური.**

საფიქრალი გამიჩინეთ, ალბათ იმიტომ, რომ ზედმეტად ვგრძნობ პასუხისმგებლობას. მადლობა, რომ კითხულობთ გაზეთს.

თქვენის ნებართვით, კითხვების ბოლოდან მომინდა, გაგცეთ პასუხი იმაზე, მყავს თუ არა მონათლული შვილები. დიახ, სამივე მონათლული მყავს. თანაც, უმცროსი შვილის ნათლია ჩვენი მწყემსმთავარი - უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორეა. ხოლო უფროსმა ბიჭებმა კი მწვანე მონასტერში - განსაკუთრებული მადლის მქონე ადგილზე პატარაობიდანვე იცხეს მირონი. თქვენ მწერთ, რომ რწმენას, ღმერთს და მრევლს თავი უნდა გავანებოთ, რადგან თურმე მე სხვაგვარად ვფიქრობ ამ თემებზე. თვალი გადავავლე ჩემ მიერ დაწერილ წერილებს და არ მახსენდება სადმე ვინმეს რწმენისთვის შეურაცხყოფა მიმეყენებინოს, ან მრევლი უდიერად მომეხსენიებინოს. მე თვითონ სკოლაში ვასწავლი ქრისტიანულ, სასულიერო მწერლობას ახალგაზრდებს და ამით ნათქვამია ყველაფერი. ქრისტიანობამ შენდობაც მასწავლა. შეგინდობთ და მეც შემინდეთ, თუ ვერ ჩავხვდი თქვენს მიერ ირიბად ,,ნასროლ“ რეპლიკას. თქვენივე სიტყვებიდან ვციტირებ: **„მოდით, კარგად ვიყოთ!“**.

რაც შეეხება ხელფასს და პენსიას, მე არ ვთვლი, რომ ამ დროში ყველაფერი გენიალურად არის. მეტიც, მგონია, რომ სასირცხვილოა ამდენი სოციალურად დაუცველი ოჯახი რომ ჰყავს ქვეყანას, ასეთი დაბალი რომ არის პენსია. განა ეს არ მაწუხებს? რაც შეეხება ხელფასს, იმ „დიდებულ“ საბჭოთა კავშირში, კარგად მოგეხსენებათ, ალბათ რამდენი „მარცხენას“ ანუ არაშრომითი შემოსავლის გაკეთება იყო საჭირო, რომ ნორმალურად ეცხოვრათ, ანუ ხელფასი და პენსია კი არ იყო მაღალი, ბიუჯეტიდან მოპარვა და ქრთამის აღება იყო ჩვეულებრივი ამბავი. ის ხალხი, ვინც მაშინ იპარავდა, დღევანდელი ბიუჯეტიდანაც იპარავს; ასე ასწავლეს, ასე აცხოვრეს. სხვანაირად არ იცის, იმიტომაა პენსია ახლა დაბალი. ვიღაცამ შეიძლება თქვას, მთავარია კარგად ვცხოვრობდითო - ვიღაცას თქვენ პარავდით, ვიღაცა თქვენ გპარავდათ და ვიღაცა, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, - დაგიჭერდათ - აი, ეს იყო მაშინდელი ურთიერთობის მთავარი ფორმა და საზომი, მორალური გახრწნა. როგორც თქვენ მწერთ, დაგესესხებით ნათქვამში: **„ყველა იყო კმაყოფილი!“** ვის ახსოვდა ეროვნული ფასეულობები, ღირებულებები, რელიგიის კუთხითაც ტაძრები საწყობებად, აბანოებად გადააკეთეს, ეროვნულად მოაზროვნე კათალიკოსები დაგვიხვრიტეს, იყო მეტეხის ციხე და ტყვია - ძირითადი განაჩენი ყველასთვის, ვისაც ინტელექტს შეამჩნევდნენ.

ურწმუნოების ტალახში ამოგვსვარეს, ისე, რომ აგერ, დღესაც გვიჭირს ჩამორეცხვა იმ დროინდელი შხეფებისა.

თქვენ მეუბნებით, რომ მედიცინა იყო ადრე უფასო, გემსახურებოდათ ოფთალმოლოგი, ყელ-ყურისა და კანის ექიმი ყოველდღიურად. საკვირველია, ნამდვილი კომფორტია! მედიცინა ოფიციალურად კი იყო უფასო, მაგრამ ალბათ ყველას ახსოვს ექიმის ჯიბეში ჩაცურებული ფულის ხეირიანი პროცესი - ეს უფასო როგორ გამოდის? მაშინ ვინმეს შანსი რომ ჰქონოდა თავისი ახლობელი სამკურნალოდ ლონდონში წაეყვანა, ან მოსკოვში, რომელს აირჩევდა? ადრე კბილის ამოღება, მისი მკურნალობა უფასო იყოო, მწერთ, ახლა ნამდვილად ძვირია აღნიშნული მომსახურებები (ამოღება კბილის 40-50 ლარში მერყეობს, დაპლომბვა კი - 80 ლარიდან იწყება, ესეც ხომ უნდა გამერკვია თქვენი თხოვნით.) მაგრამ არ მესმის, კბილი სახელმწიფომ რატომ უნდა დაგიპლომბოთ? არ ვიცი, თქვენთვის ცნობილია თუ არა, საბჭოთა კავშირის დროინდელი სტომატოლოგის „ბორმანქანის“ შესახებ, რომელზეც კვლევის შედეგები არქივში დღესაც ულევად ყრია დადასტურებულად. საბჭოთა წარმოების სისხლის ხელოვნური მიმოქცევის აპარატი კბილზე ოპერაციული ჩარევისას სისხლს ისე ბეჟავდა, რომ ათი პაციენტიდან ხუთს სისხლის გათეთრება ეწყებოდა.

საყოველთაო სახელმწიფო დაზღვევა, როგორც კომპეტენტური წყაროსგან გავარკვიეთ, ხელფასის, ქულების და სხვადასხვა შეფასებების გათვალისწინებით ყველას სხვადასხვა პაკეტი აქვს. საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში სასწრაფო ოპერაციები უფინანსდებათ 100%, გეგმიური ქირურგიული ოპერაციები 70%-ით, ხოლო ანალიზების გეგმიური შემოწმება ამბულატორიაში უფინანსდებათ 70%-ით.

100%-ით დაფინანსდება პაციენტი თუ არის ვეტერანი, ან სოციალურად დაუცველი. ამას დამატებული ის, რომ თანაგადახდაზე თუ მუნიციპალიტეტს მიმართავენ, სრულად დაუფინანსდებათ.

განათლება - ეს ის სფეროა, რომელშიც ჩართული ვარ, მაგრამ დღესაც სახეზეა უამრავი არასწორი, გაუთვლელი, არასაჭირო რამ თავს მოხვეული. მსმენია ადრინდელი სისტემის შესახებ, რადგან ბაბუაჩემი სწორედ რომ საბჭოთა განათლების სისტემის ერთ-ერთი წარმომადგენელი სკოლის დირექტორი გახლდათ. მასთან ხშირად იშლებოდა დიდი სუფრები გოჭითა და ბებიაჩემის განთქმული ხაჭაპურებით, რომელზეც ერთხმად დაეწვეოდნენ სოხუმიდან სოფელში ამოსული ჩინოვნიკები, განათლების მინისტრები, მეთოდისტები. სხვანაირად იყო მოწყობილი ხალხის ტვინი, ამაზეც ,,იმუშავა“ პრაგმატულმა იდეოლოგიამ, რომელიც მთლიანად დაშორდა სულისთვის ზრუნვას. კოლექტიური აზროვნებით ყველა მიჰყვებოდა ერთ წესრიგს. თქვენ მწერთ, განათლება უფასო იყოო. დიახ, ასე იყო, მაგრამ პარტიის ან თანამდებობის ჩონჩხილი თუ არ იყავი, ჩემოდნით სავსე ფული უნდა გქონოდა მზად, რომ სასურველ ფაკულტეტზე მოწყობილიყავი. განათლების ხარისხი უკეთესი იყო? ვისაც სწავლა სწყურია, იმისთვის დღეს უფრო მეტი შესაძლებლობაა, თუნდაც არ გყავდეს „პატრონი“. საკუთარი ცოდნითა და უნარით კარგა ხანია გადაკვეთეს ოკეანე ჩვენმა ახალგაზრდებმა.

**მოდის თაობა, რომელსაც რა შეარჩინეთ? რა დაახვედრეთ? ბოლო 30 წელი თითქმის არც გვქონია სახელმწიფო, იმის წინა პერიოდი კიდევ უარესი: ოღონდ კომფორტულად გვეცხოვრა და ვყოფილიყავით ,,სსრ კავშირში“? თავისუფლების მადლი და ძალა ასე უცხო რატომაა? ოღონდ კალთაში თბილად ჩავუდოთ „დიდ მეზობელს“ თავი და ვიყოთ გაყურსულები? თქვენ კითხვების ბოლოს მწერთ: კიდევ ბევრია სათქმელი, მაგრამ?.. კარგია. ეს მაფიქრებინებს, რომ კითხულობთ ჩემ წერილებს და კიდევ სხვა საკითხებზეც გაქვთ აზრთა სხვადასხვაობა. მე კი ჩემის მხრივ, დავფიქრდები მეტი პასუხისმგებლობით, მეტი პატივისცემით ვწერო იმაზე, რაც შეიძლება სხვისთვის იყოს ძალიან ძვირფასი. მოყვასის სიყვარულით მოგიკითხავთ, კიდევ ბევრია სათქმელი, მაგრამ...**

**მონიკა ჭანტურია**

აქტუალურ თემაზე

# ბორჯომი მწვანე ქალაქის სტატუს არ დაკარგავს

**რამდენიმე დღეა მუნიციპალიტეტის მასშტაბით საგაზაფხულო სამუშაოები ფართო ფრონტით მიმდინარეობს. სუფთავდება ქალაქის ქუჩები, გადაიბელა და მოიჭრება ხეები ცენტრალურ ქუჩებზე საცხოვრებელი კორპუსების წინ.**

**მოსახლეობაში განსაკუთრებული გაურკვევლობა გამოიწვია ე.წ. „ორბიტის“ ბინის წინ მოჭრილმა ხეებმა. სოციალურ ქსელში რამდენიმე ადამიანის პირად გვერდზე ორბიტის წინ მოჭრილი ხეების ფოტოები შემხვდა. ერთ-ერთზე დატანილმა ტექსტმა ჩემი ყურადღება მიიქცია: „მწვანე ქალაქი ხეების გარეშე“.**

**გადავწვიტე, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მასშტაბით დამატებით მიმდინარე და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ მერაბ იობაშვილს გავესაუბრებოდი:**

**● ბატონო მერაბ გთხოვთ, პირველ რიგში განვუმარტოთ მოსახლეობას, რატომ დადგა დღის წესრიგში „ორბიტის“ ბინის წინ მდგარი ხეების მოჭრა?**

– ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ „ორბიტის“ ბინაში მცხოვრები მოქალაქეების მხრიდან შემოვიდა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მოგვეხდინა ბინის წინ მდგარი ხეების გადაბელვა, რაც მაშინვე მოვახდინეთ კიდეც. ცოტა ხნის წინ ანალოგიური განცხადებით მოგვმართეს ამ სახლის მცხოვრებლებმა, გარდა იმისა, რომ ხეები წინამდებარე შენობის ფასადს უჩრდილავდა, მწერებისაგან ექმნებოდათ პრობლემები, რადანაც ეს ხეები უკვე მრავალწლოვანია და დაზიანებულია.

ხეების ფესვებმა სერიოზულად დააზაინა ბინის მეპატრონეთა საკუთრებაში არსებული სარდაფები, ამჟამად ამ სახლის ფასადის რეაბილიტაცია მიმდინარეობს და ის ერთ-ერთი ულამაზესი შენობა იქნება ჩვენს ქალაქში.. სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით მოხდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და მინდა დავამშვიდო მოსახლეობა, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხების გათვალისწინებითა და, რაც მთავარია, კომპეტენტური ადამიანების გადაწყვეტილებით მივედით საბოლოო დასკვნამდე. მოჭრილი ხეების ნაცვლად, როდესაც ბინას რებილიტაცია ჩაუტარდება გარემო პირობებთან გათვლისწინებით სხვა ჯიშის დაბალტანიანი დეკორატიული ხეები დაირგვება, რომელიც კიდევ უფრო გაალამაზებს ჩვენ ბორჯომს. ჩვენი ქალაქი მწვანე ქალაქის სტატუსს ნამდვილად არ დაკარგავს.

**● ცოტა ხანში კოსტავას ბაღი განსხვავებულ იერსახეს შეიძენს. ასევე სილამაზის ხიდის მიმდებარედ კოსტავას მოედანიც სრულიად განახლებული**



**სახით იქნება წარმოდგენილი. რა შეიცვლება ეკოლოგიის მხრივ ამ ორ ლოკაციაზე?**

– კოსტავას ბაღშიც და მოედანზეც არის მრავალწლიანი ხეები. ამ ტერიტორიებზე ხეები ეტაპობრივად ყოველთვის იწმინდება ხმელი ტოტებისაგან. პროექტის მიხედვით, აქაც ისე მოეწყობა ყველა ლოკაცია, რომ გარემო პირობებთან და ნიადაგთან ადაპტირებული იყოს. ყველა ნერგი თუ მცენარე, რომელიც ამ ორ ლოკაციაზე დაირგვება და განახლდება, ჩვენი საკურორტო ქალაქისთვის შესაბამისობაში იქნება.

**● მტკვრის სანაპირო ზოლზე ახალშენის ტერიტორიაზე ახალი ბულვარი გაკეთდა, სადაც სხვადასხვა მცენარეები დაირგო, თუმცა ახალშენამდე სანაპიროს გაყოლებაზე მდებარე ზოლიც საჭიროებს კიდევ დამატებით განახლებას, თუნდაც სტადიონის მოპირდაპირე მხარეს არსებული ტერიტორიაც. ამ ადგილებზე თუ ჩატარდება სამუშაოები?**

– სტადიონის მოპირდაპირე ტერიტორია კერძო მესაკუთრეს ეკუთვნის, თუმცა მიმდინარეობს მოლაპარაკებები და იმედს ვიტოვებთ, რომ ახლო მომავალში კიდევ ერთი დამატებითი, უფრო ლამაზი გამწვანებული სივრცე შეემატება ჩვენ ქალაქს.

**● 2022 წლისთვის გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კუთხით რა სახის სიახლეები იგეგმება დამატებით?**

– ვაპირებთ, რომ ქალაქის შემოსასვლელიდან დაწყებული რუსთაველის ქუჩის გაყოლებით ქალაქში არსებული მთელი ზოლის შესწავლა მოვახდინოთ, რათა სადაც არის გადაბერებული, გამხმარი ხეები, მოვჭრათ და ჩავანაცვლოთ ახალი, დეკორატიული ხეებით. ყველა რეაბილიტირებული შენობის წინაც დეკორატიული მცენარეები დაირგვება. სამწუხაროდ, ბევრ ადგილას ტროტუარების გაყოლებაზე დგას მრავალწლოვანი ხეები, რომელთა ფესვებიც აზიანებს ტროტუარზე დაგებულ საფარს და აღნიშნული მიმართულებითაც ვაპირებთ მუშაობას. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ქალაქში წიწვოვანი მცენარეები, რომლითაც ჩვენი კურორტი თავისთავად მდიდარია, სხვა სეზონური თუ მარადმწვანე ფოთლოვანი მცენარეებით ჩავანაცვლოთ, რაც ვიზუალურადაც და მრავალფეროვნების კუთხითაც განსხავავებული და, რაც მთავარია, ძალიან ლამაზი იქნება.

**ნატო მელიქიძე**



**დღეს იშვიათად თუ შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც ღიად და კორექტულად გამოხატავენ მოქალაქეობრივ პოზიციას. ყველასთვის მზრუნველმა და ყურადღებიანმა ექიმმა-პედიატრმა ნატო სანადირაძემ ასე მიმართა ბორჯომელ დედიკოებს და გამოხატა ჯერ კიდევ დაუსრულებელი აგრესიისადმი პროტესტი.**

**„ჩემო პაციენტებო და მეგობრებო! მინდა გამოვხატო ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია ოკუპანტი ქვეყნის მიმართ და უარი ვთქვა ბილაინ ოპერატორით მომსახურებაზე. ჩემი საკონტაქტო ნომერია – 593 429 372... მიყვარხართ!“**

**– დღეს, ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება ოკუპანტი რუსეთის მიმართ კიდევ უფრო გამიძლიერდა ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით ვცდილობ აგრესორს თავისი სახელი დაერქვას.**

# ექიმის მოქალაქეობრივი პოზიცია

**● უსამართლობასთან ბრძოლა რამდენად ხშირად გიწევთ?**

– არცთუ ისე იშვიათად. სამწყენია, რომ ადამიანები არ იჩენენ ასეთ შემთხვევაში გვერდით დგომის ინიციატივას.

**●როგორია თქვენთვის სამშობლოს სიყვარული, პასუხისმგებლობა საზოგადოებისადმი?**

– სამშობლოს სიყვარული ჩემთვის პრიორიტეტულია. მე ყოველთვის ვცდილობ, ჩემი პოზიცია გამოვხატო ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. მახარებს, თუ რამე კარგი ხდება და გულს მტკენს, როცა ქვეყანა მნიშვნელოვან გამოწვევას ღირსეულად ვერ უმკლავდება. ჩემთვის მიუღებელია გამოთქმა: აპოლიტიკური ვარ, პოლიტიკა პოლიტიკოსებმა აკეთონ და ა.შ. ეს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისგან გაქცევაა, საზოგადოებისთვის ჯანსაღი მესიჯის გაგზავნას პოლიტიკოსის სტატუსი არ ჭირდება. როცა შენს თავს თვლი შემდგარ და ანგარიშგასაწევ პიროვნებად.

დღეს, როცა შეიარაღებულ ომთან ერთად არანაკლებ ბინძური საინფორმაციო ომი მიმდინარეობს და სოციალური მედია წალეკილია ანტიქართული და პრორუსული მოწოდებებით, თითოეული მოქალაქის ვალია დააფიქსიროს თავისი პოზიცია და დადგეს ჭშმარიტების მხარეს.

**●პედიატრობა, გრძნობათა ემოციებს ბადებს. როგორები არიან ბავშვები, როდესაც მათ დახმარება სჭირდებათ?**

– ბავშვები, ასაკის მიუხედავად, ყოველთვის მოითხოვენ ყურადღების ცენტრში ყოფნას. პრობლემების და ავადმყოფობის შემთხვევაში კიდევ უფრო ძალადობენ ჩვენზე.

**● ყველაზე საიმედო ბებოს გრძნობები შვილიშვილებისადმი? რეალობაა, რომ თაობების ცვლა ცვლის ახალშობილებსაც კი?**

– პედიატრი ბებო, როგორც ზოგადად ბებო, საიმედოა შვილიშვილებისთვის. პროფესიული სტატუსი გიზრდის პასუხისმგებლობას მიუკერძოებული იყო შვილიშვილი პაციენტის მიმართ, რაც მეტნაკლებად გამომდის... თაობების ცვლა ახალშობილებს არ ცვლის. ისინი ისეთივე სიცოცხლისუნარიანები, ლამაზები, ბედნიერები იბადებიან. ცხოვრების შემდგომი ეტაპები უფრო ცვალებადია, იმის მიხედვით, როგორ სოციუმთან მოუწევთ თანაარსებობა.

**● დედებს ნებისმიერ დროს პასუხობთ, აძლევთ რჩევას, გაიხსენეთ მათი ემოციური უკუკავშირი?**

– ზოგჯერ ბავშვის ავადმყოფობით ემოციურად დატვირთული დედები დაუმსახურებლად გვექცევიან, მაგრამ ჩემთვის ეს მეასეხარისხოვანია...

**● გვითხარით, რა სჭირდება ძლიერ, წარმატებულ საზოგადოებას?**

– ძლიერ, წარმატებულ საზოგადოებად ჩამოყალიბებას სჭირდება განათლება, თავისუფლებისაკენ და ქვეყნის სიყვარულისკენ ლტოლვა.

**● გულწრფელი მოლოდინი, რომელიც დღეს გაქვთ ან ხედავთ? იმედი, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ?**

– ჩემი გულწრფელი მოლოდინია სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების გარდუვალობა, რაც ცივილური მსოფლიოს ერთიანობით მიღწევადია. რასიზმი, როგორც საზოგადოების მენტალური და ფიზიკური განადგურების წამახალისებელი, ამოძირკვადია. ამ გლობალურ საქმეში ყველა ისტორიის სამართლიან მხარეს უნდა დავდგეთ.

**● თქვენი სათქმელი ბორჯომელებისადმი?**

– მიყვარხართ, ჩემო ბორჯომელებო! მაბედნიერებს თქვენთან ერთად გატარებული რამდემიმე ათეული წელი და მაიმედებს თქვენი მომავალი. ღირსეული წარმატებები!...

**იზა იანვარაშვილი**

ნიჭიერი თაობა გაზარდე!

# დავით ჩხეიძე გამარჯვებულია



**უკვე** ოცდამეცხრე წელია, რაც მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა “FLEX” შესაძლებლობას აძლევს ქართველ უფროსკლასელებს ისწავლონ ამერიკულ სკოლებში და იცხოვრონ ამერიკულ ოჯახებში. პროგრამას აფინანსებს ამერიკის მთავრობა და ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები.

“FLEX”-ის პროგრამის გამარჯვებულების მგზავრობა ამერიკაში და უკან საქართველოში სრულად ფინანსდება. ისინი ასევე უზრუნველყოფილნი არიან ყოველთვიური სტიპენდიითა და ჯანმრთელობის დაზღვევით. აშშ-ში ყოფნისას ქართველ მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, გააცნონ თავიანთი კულტურა ამერიკელებს და ასევე, გაეცნონ ამერიკულ კულტურას სკოლაში სწავლის, ოჯახური ცხოვრებისა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის გზით.

“FLEX” პროგრამის ფინალისტების შერჩევა ვაშინგტონის დამოუკიდებელი კომისიის მიერ ხდება. შერჩევის პროცესი დაფუძნებულია კონკურსზე. კონკურსი კომპლექსურია და განისაზღვრება ელექტრონულად შევსებული აპლიკაციის, რეკომენდაციების, ინგლისური ენის ცოდნის დონისა და კანდიდატის მიერ გამომჟღავნებული ერთწლიანი გაცვლითი გამოცდილებისათვის მზადყოფნის საფუძველზე.

ბორჯომელებისა და არამარტო ბორჯომელების საამაყოდ, №3 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე, 16 წლის **დავით ჩხეიძე** აღნიშნული პროგრამის გამარჯვებული გახდა. დავითმა უამრავ აპლიკანტს შორის გამარჯვება მოიპოვა და ის ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება სასწავლებლად.

– კონკურსის შესახებ სექტემბერში გავიგე. შესარჩევი ეტაპებიც დაახლოებით სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში გაიმართა.

მოულოდნელი იყო ჩემთვის გამარჯვება, რადგან საკამოდ დიდი კონკურენცია იყო. ზოგადად ყოველთვის ვოცნებობდი, რომ ამერიკაში როგორც მოსწავლე ისე წავსულიყავი და საკუთარ თავზე განმეცადა ის ყოველივე, რასაც იქაური მოსწავლეები განიცდიან. როგორც ვიცი, რამდენიმე ათასი მოსწავლე იღებდა წელს მონაწილეობას და მათგან დაახლოებით 70-მდე მოსწავლე შეარჩიეს და მათ შორის მეც.

ჩემი სკოლა დიდად დამეხმარა გამარჯვებაში. სკოლა ხომ უდიდეს როლს ასრულებს მოსწავლის პიროვნულად ჩამოყალიბების პროცესში და სწორედ სკოლაში სწავლის პერიოდში იძენს მოსწავლე იმ უნარ-ჩვევებს და თვისებებს, რომლებიც შემდგომში, როგორც სტუდენტს, გამოადგება. ჩემი პედაგოგების მხარდაჭერა დიდ მოტივაციას მმატებდა და მათი დამსახურებაა იმაში, რაც ვიცი.

ვფიქრობ, რომ ამერიკაში ერთი წლის განმავლობაში დიდ გამოცდილებას მივიღებ. განათლების მხრივ კიდევ მეტ განვითარებას ველი. ასევე უცხო გარემოში ყოფნა ჩემთვის დიდი გამოწვევა იქნება.

ძალიან კარგი მოლოდინი მაქვს. ვეცდები, რომ მაქსიმალურად გამოვიყენო ჩემი იქ ყოფნა, მივიღო და შევისწავლო ყოველივე ის, რაც საქართველოსთვის შეიძლება უცხო იყოს.

სწავლის გაგრძელებას ბიზნესის ადმინისტრირებაზე ვაპირებ და ამერიკის სკოლაშიც შესაბამის საგნებს შევარჩევ. იქ დარჩენა შესაძლებელია მხოლოდ ერთი წლის მანძილზე პროქტის ფარგლებში, თუმცა რომელიმე იქაურ უნივერსიტეტში დაფინანსების მოპოვების შანსი არსებობს.

გამარჯვებულმა ჯერ არ იცის, რომელ შტატში მოხვდება და ამ ეტაპზე მისთვის არც მასპინძელი ოჯახი არაა შერჩეული. თუმცა ჩვენი საამაყო მოსწავლე ოცნების ქვეყანაში სასწავლებლად აგვისტოში ან სექტემბრის დასაწყისში გაემგზავრება. წარმატებები და წინსვლა ვუსურვოთ დავითს!

**ნატო მელიქიძე**

# სიცრუე - ქრისტეს უარყოფას ნიშნავს...

**პირველი** აპრილის სიცრუის დღედ დადგენა - ქრისტეს აღდგომის უარყოფის ნიშანია!

ტყუილი ბოროტმა სულმა - ეშმაკმა დაბადა ამქვეყნად, როცა პირველი ადამიანები აცთუნა, მოტყუებით დაარღვევინა საღმრთო მცნება და ამით ცოდვასა და სიკვდილს დაუქვემდებარა. მას შემდეგ სატანა უმთავრესად სულ ტყუილით მოქმედებს - აცთუნებს ადამიანს, ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილ გონიერ არსებას და ამ გზით სურს მისი დაღუპვა.

ადამიანებიც, მოშორებულნი ღმერთს, მის მიერ სიმართლეს, ხშირად ატყუებენ ერთმანეთს და ამით დაღუპვის გზას ადგებიან. ერთი სიტყვით, ტყუილზე უფრო საზიზღარი რამ არ მოუგონია ეშმაკს. რა თქმა უნდა, ტყუილიც არის და ტყუილიც (ისევე, როგორც ცოდვებშიც არის გარჩევა - უნებლიე, უმნიშვნელო ცოდვასთან ერთად, არსებობს მომაკვდინებელი ცოდვებიც!): შეიძლება გამოტირებულ ბავშვს ეცრუო, ხუთ წუთში დავბრუნდებიო და რამდენიმე დღით შენს საქმეზე წახვიდე და შენი უსაზღვროდ მოყვარული ადამიანი ტყუილით სამუდამოდ გააწბილო. მაგრამ ტყუილის არსი მაინც ყოველთვის ბოროტია და შედეგებიც ასეთივე ექნება, რამეთუ მაშინაც კი, როცა ბავშვს რაღაცას ვატყუებთ, თითქოსდა უწყინრად და უმტკივნეულოდ, მის სულში ფუჭი ოცნებისა და ამაო იმედების ბოროტ მარცვალს ვთესავთ, რაც ადრე თუ გვიან უსათუოდ იჩენს თავს მის ცხოვრებაში... მოკლედ რომ ვთქვათ, ყველანაირი ტყუილი ცუდია და დასაგმობია!..

მაგრამ არსებობს ჩვენს სინამდვილეში კიდევ ერთი, თითქოსდა ყველასთვის უწყინარი, სახუმარო და ლამის აუცილებელი ტყუილი, რომელიც ბავშვობიდანვე ჩაგვინერგეს. ეს არის საპირველაპრილო ტყუილი: დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია! ამ დღეს ზოგჯერ სერიოზული გაზეთები და სხვა საინფორმაციო საშუალებებიც კი მთელს ცივილიზებულ მსოფლიოში აქვეყნებენ „უწყინარ“ ტყუილებს, როგორც სრულ სიმართლეს. ისე რომ, ზოგჯერ საქმე კურიოზებამდეც მიდის და ოფიციალური ორგანოებიც კი ეგებიან საპირველაპრილო ტყუილის ანკესზე და ბრიყვდებიან!

ამ უცნაურ ტყუილებს ჩვენშიც ბევრი ამბობს და, ამასთან, წარმოდგენაც არა აქვს, თუ საიდან იღებს დასაბამს იგი და რა მკრეხელობის თანამონაწილე ხდება ყველა, ვინც ასე იქცევა!

დიახ, ეს „უწყინარი“ ჩვეულება - საპირველაპრილო ტყუილი ღმერთის უარყოფიდან და გმობიდან იღებს სათავეს!

როგორც მოგეხსენებათ, გაზაფხული და, განსაკუთრებით აპრილის თვე, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულის დროა. საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანთა ეს უნათლესი დღესასწაულთა დღესასწაული, რომელიც გარდამავალია, ანუ მოძრავია, უმეტესწილად სწორედ აპრილის თვეზე მოდიოდა. **არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე სწორედ აპრილს აღდგა მკვდრეთით. ისიც ყველამ კარგად ვიცით, თუ რა საზიზღარი ტყუილი მოიგონეს მაშინ უფლის ჯვარმცმელმა და უარმყოფელმა ფარისევლებმა - იესო ნაზარეველის სხეული ღამით ფარულად მოიპარეს მისმა მოწაფეებმა და ახლა გაიძახიან მკვდრეთით აღდგაო! - აი, სწორედ ამ ყოვლადმკრეხელურმა სიცრუემ დაუდო დასაბამი საპირველაპრილო ტყუილებს, რადგან ვინც ეს ჩვეულება მოიგონა და დაამკვიდრა, მისთვის ქრისტეს აღდგომაც ტყუილია, ღმერთის ამქვეყნად ხორციელი შობაც და მისი ყოვლადმხსნელი საზოგადო მსახურებაც! ამიტომ ქრისტეს მოწინააღმდეგენი აღდგომის წმიდა თვესაც - აპრილსაც, მისი პირველივე დღის საგანგებო გამასხარავებითა და აბუჩად აგდებით შეურაცხყოფენ და ავრცელებენ ტყუილის - ღმერთისთვის ამ უსაძაგლესი მოვლენის გავრცელებით!**

„ქართული გაზეთი“ №1, 1997წ.

# გულოცავთ!



ჩვენს ერთგულ და ულალატო მეგობარს, კაცურ კაცს, პატიოსნებითა და კეთილშობილებით გამორჩეულ კაი ყმას **ომარ აბრამაშვილს** დაბადების 80 წელი შეუსრულდა. განვლილი ცხოვრების მანძილზე მრავალი ტკბილ-მწარე გადახდა, არაერთ უსამართლობას, ბედის უკუღმართ ტრიალს გაუძლო. პატიოსანი შრომით ბედნიერი ოჯახი შექმნა ერთგულ მეუღლესთან ერთად.

შვილები და შვილიშვილები ღირსეულ მოქალაქეებად დაზარდა, საზოგადოებაში დამსახურებული ავტორიტეტი და სიყვარული მოიპოვა. ნამუსიანი შრომა ღირსეულად დაუფასდა, სადაც იმუშავა ყველგან სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ტკბილ მოხუცებულობის წლებს და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ. მრავალ ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს მოსწრებოდეს! მრავალჟამიერ მის სიცოცხლეს!

**მეგობრები**

## ეს სიმართლეა
# აპოკალიფსს მოვესწარით...

ტიკტოკით და ფეისბუქით გვიყალბებენ ამბებს,
სმარტფონი და ნოუთბუქი შეუზღუდეთ ბავშვებს,
ადამიანს ემეგობრეთ, ვიდრე კატებს, ძაღლებს,
ილოცეთ და იმარხულეთ, გაემიჯნეთ დარდებს.

ალსარებით დამშვიდდებით, ნუ იტოვებთ ნაღმებს,
მარტი მუდამ თავხედია, გაუძელით ქარებს,
მარტო რვა მარტს რომ ულოცავთ, არა ჰყოფნით ქალებს,
არც არავის გიფიქრიათ, რა აწუხებთ კაცებს.

სიყვარული აღარ ცხოვრობს, დააწერეთ კარებს,
ბევრი შვილი თუ არ გინდათ, ვის უშენებთ სახლებს,
ეროვნება ღვთისგანაა, რატომ იცვლით გვარებს,
საკუთარ თავს შეიმეცნებთ, დაუკვირდით აზრებს.

ეს ომები ვინ დაგეგმა, მრავალ კითხვას ბადებს,
ხელოვნური ვირუსებით ათხელებენ მასებს,
შეწყდა კოვიდ-კამპანია, აღარ გვთხოვენ აცრებს,
ბოროტება ზენიტშია, შემოკარით ზარებს.

რანი ვართ და ვინ ვიყავით, მივემსგავსეთ ლანდებს,
საქართველო საფრთხეშია, არა ქოცებს, ნაცებს,
ღვთისმშობელო, გადმოხედე, დიდხანს ველარ გაძლებს,
სინანული მალამოა, დაგვიბრუნებს ძალებს.

სული ხორცზე გაიაფდა, პურს უწევენ ფასებს,
ცრემლიანი პატრიარქი უხმობს შემწე დასებს,
აპოკალიფსს მოვესწარით, არ ვუჯერებთ თვალებს,
ქრისტე ღმერთი გაიმარჯვებს, ანტიქრისტე აგებს.

**მამა გიორგი თევდორაშვილი**

# ორ ოჯახს სარეცხის მანქანა გადაეცა



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის** მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახურის მიერ პრევენციაში ჩართულ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიან ოჯახებს, სამცხე-ჯავახეთის განვითარების ცენტრმა World Vision საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასთან დადებული მემორანდუმის ფარგლებში, ორ ოჯახს სარეცხის მანქანა გადასცა.

მემორანდუმის ფარგლებში პრევენციაში ჩართული ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება.

# მამა გაბრიელის ჭეშმარიტი სიტყვები

- პური ყველას აჭამე, მაგრამ პურს ყველასთან ნუ შეჭამ.
- გაჭირვებულს ყველას დაეხმარე, მაგრამ თავად გაჭირვებაში მყოფი, ყველასგან ნუ მიიღებ დახმარებას, არაფერია იმაზე დიდი ტრაგედია, ვიდრე უღირსი კაცის წინაშე ვალში ყოფნა..
- თუკი ბეჩავს შეხვდები მუხლზე დაჩოქილს, მასთან ერთად დაიჩოქე და ისე უშველე წამოდგომაში... შენზე ძლიერის წინაშე კი არასოდეს იკადრო მუხლზე დადგომა..
- გახსოვდეს, სიტყვა ადამიანი ზოგჯერ ღვთის ხატის მნიშვნელობით გამოიყენება და ზოგჯერ ცხოველის ხატისა... კაცობა ის არის, ღვთის ხატად შექმნილი კაცის სახელით რომ წახვალ ამქვეყნიდან..
- ცოტა გქონდეს, მაგრამ ბევრისთვის იბრძოლე... ბევრს რომ მიაღწევ, იმათ გაუნაწილე ვისაც არაფერი აქვს, შენთვის კი ისევ ცოტა დაიტოვე... ჩვენ გვიჭირს ცუდ ადამიანებთან მეგობრობა და თავს ვარიდებთ მათ... ჰოდა, ისე არასოდეს მოიქცე, რომ ღმერთს გაუჭირდეს შენთან მეგობრობა.

## მიეძღვნა ტყის საერთაშორისო დღეს
# ბორჯომელი ავტორის წიგნის პრეზენტაცია!

**მიმდინარე წლის** 21 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ტყის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი **გივი ჯაფარიძე**, აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე, აკადემიკოსი **გიორგი გაგოშიძე,** განყოფილების სწავლული მდივანი, აკადემიკოსი **ლაშა დოლიძე,** აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, აკადემიკოსი **ანატოლი გიორგაძე,** აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი **ელგუჯა შაფაქიძე,** განყოფილების სტიპენდიანტები: ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, სატყეო დარგის მეცნიერებათა დოქტორი **გიორგი ქავთარაძე,** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი **ზვიად ტიგინაშვილი,** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი **ა. სუპატაშვილი,** აკადემიის სამეცნიერო განყოფილების სწავლული მდივანი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი **მარინე ბარვენაშვილი,** აკადემიის აპარატის მუშაკები და მოწვეული სტუმრები: სოფლის მეურნეობის მაგისტრი **ზვიად გოცირიძე** და გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ივანე ჯაფარიძე.**

სხდომა გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **გივი ჯაფარიძემ:** მოკლე მისალმების შემდეგ იგი შეეხო ტყის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ თემატურ სხდომაზე დამსწრე საზოგადოების შეკრების მიზანს, - **ლევან გოცირიძის მონოგრაფიის „ბორჯომის ხეობაში სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ეკოლოგიური მდგომარეობა წარსულში და საკურორტო ტყეების არსებული პრობლემების“ განხილვას**. აკადემიკოსმა **გ. ჯაფარიძემ** გაიხსენა ღვაწლმოსილი მეტყევე-მეცნიერის, ბატონი ლ. გოცირიძის დამსახურება ქვეყნისა და ერის წინაშე. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ლ. გოცირიძის ინიციატივაზე, პირველად კავკასიაში შექმნილიყო ევროპული სტანდარტების ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და დაცული ტერიტორია. გარდა ამისა, აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ აღნიშნა ისიც, რომ ლ. გოცირიძემ, დიდი ძალისხმევა გამოიჩინა ბორჯომის ხეობაში ტყის მავნებლების, ნაძვის „დიდი ლაფნიჭამიის“ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში, დაზიანებული ნაძვნარი ტყის ეკოსისტემების აღდგენასა და განახლებაში.

შემდეგ მან სიტყვა გადასცა ბატონ ლევან გოცირიძის ვაჟს, მეტყევე-მაგისტრს **ზვიად გოცირიძეს,** რომელმაც მადლობა გადაუხადა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილებას მოწვევისა და ზემოაღნიშნული ღონისძიების ჩატარებისთვის. თავის გამოსვლაში ბატონმა ზ. გოცირიძემ დაწვრილებით განიხილა მონოგრაფიაში წარმოდგენილი საკითხები: კერძოდ, ბორჯომის ხეობის სოციალურ-ეკონომიკური და




პოლიტიკური ვითარება ტყის აღდგენასთან დაკავშირებით, ტყეების კვლავწარმოების, გაუტყევებელი ფართობების გაშენების, ტყის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. აღნიშნა, რომ განხილული მონოგრაფია წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს მეტყევე სპეციალისტებისათვის და, ზოგადად, ბუნების მოყვარულთათვის. მოხსენების ბოლოს ბატონმა ზ. გოცირიძემ გაიხსენა ეპიზოდები მამის ბიოგრაფიიდან.

ლ. გოცირიძის მონოგრაფიასთან დაკავშირებით თავიანთი აზრი გამოთქვეს აკადემიკოსებმა: **გ. გაგოშიძემ, ლ. დოლიძემ,** სოფლის მეურნეობის დოქტორმა **ა. სუპატაშვილმა.**

სხდომა შეაჯამა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **გ. ჯაფარიძემ.**

**საინფორმაციო**

**P.S. ამ დღეებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ბატონმა გურამ ალექსიძემ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობას წერილი გამოუგზავნა და აკადემიის სახელით შუამდგომლობა აღძრა იმასთან დაკავშირებით, რომ ბორჯომის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს ღვაწლმოსილი მეტყევე-მეცნიერის ლევან გოცირიძის სახელი.**

**იმედია, აღნიშნული საკითხი დადებითად გადაწყდება!**

# ცხოვრების ინსტრუქცია
## (წაიკითხე და წააკითხე სხვასაც. იკითხეთ ყოველდღე)

- მხედველობაში მიიღე, რომ დიდი სიყვარული და დიდი მიღწევები დაკავშირებულია დიდ რისკთან.
- პასუხისმგებლობით მოეკიდე საკუთარ ქმედებებს. არ მისცე მცირე წყენის საშუალება, ზიანი მიაყენოს დიდ ურთიერთობას.
- როცა გრძნობ, რომ შეცდომა დაუშვი, დაუყოვნებლივ გადადგი ნაბიჯი გამოსასწორებლად.
- სანამ სხვას გააქილიკებ, მანამ ჩაიხედე საკუთარ თავში: ნუ გაუმწარებ სიცოცხლეს სხვას ცილისწამებით და ჭორიკნობით.
- გახსოვდეს: დუმილი ზოგჯერ საუკეთესო პასუხია!
- ნუ ჩაიდენ სისულელეს მხოლოდ იმისთვის, რომ შემდეგ იტრაბახო, ახალი რამ გავაკეთეო. როცა მოგივა უთანხმოება ადამიანთან, რომელიც გიყვარდა, შემოიფარგლე მხოლოდ მიმდინარე პრობლემით: ნუ გაიხსენებ წარსულის უსიამოვნებებს.
- გახსოვდეს, რომ საუკეთესო ურთიერთობა მაშინ არსებობს, როცა თქვენი სიყვარული ერთმანეთის მიმართ აჭარბებს თქვენს საჭიროებას ერთმანეთისთვის.
- იმსჯელე საკუთარ წარმატებაზე იმისდა მიხედვით, თუ რისი დათმობა მოგიწია მის მისაღწევად. ნუ იტყვი, საკუთარი ნიჭიერებით მივაღწიეო კეთილდღეობას მაშინ, როცა სინამდვილეში მხოლოდ ბედმა გაგიღიმა.
- გემოვნებაზე არ დავობენ. ნუ იტყვი, ვინმეს გემოვნება არა აქვსო.
- ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი ეს საკუთარი თავის და ადამიანების ცოდნაა. როცა გაიღვიძებ, თავს ჰკითხე, ხომ შეიძლება დღეს სიხარული მივანიჭო თუნდაც ერთ ადამიანს?
- როგორც შენ გსურდეს, მოგექცეს კაცი, შენც ისევე მოექეცი მას.
- გაუზიარე შენი ცოდნა სხვებს: სწორედ ეს არის უკვდავებისაკენ მიმავალი გზა.

შვილები ლუიზა, ლალი, შვილიშვილი თემურ ხრიკაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოლია ხრიკაძე**

დაიკრძალა 26 აპრილს.

გურამიშვილის ქუჩის №2 ბინის მცხოვრები მეზობლები სამძიმარს უცხადებენ ლუიზა, ლალი ხრიკაძეებს დედის და თემურ ხრიკაძეს ბებიის

**ოლია ხრიკაძის**

გარდაცვალების გამო.

დალი ლომსაძე თანაუგრძნობს ლუიზა, ლალი და თემურ ხრიკაძეებს დედის და ბებიის

**ოლია ხრიკაძის**

გარდაცვალების გამო.

ნათელა იჩქიტიძე თანაუგრძნობს ლუიზა და ლალი ხრიკაძეებს დედის

**ოლია ხრიკაძის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ფხიკიძეების ოჯახს შესანიშნავი მხატვრის, ადამიანის, პიროვნების

**თემურ ფხიკიძის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ.№2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.№57.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე